



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 5 ნოემბერი

დისციპლინური საქმე №94/315-18
ყოფილი მოსამართლის --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2018 წლის 26 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ, მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 13 მარტის №-- წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დასკვნა მომზადდა 2019 წლის 24 მაისს.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლემ დაუშვა რამოდენიმე უხეში პროცესუალური შეცდომა. კერძოდ, მოსამართლემ დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მოთხოვნები და განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში სათანადოთ არ აღწერა დანაშაულებრივი ქმედება, რომელიც მსჯავრდებულმა ჩაიდინა, ასევე სრულყოფილად არ მიუთითა მტკიცებულებები, რომელზე დაყრდნობითაც სასამართლომ მიიღო შესაბამისი განაჩენი.

-- -- შეფასებით, მოსამართლემ ასევე დაარღვია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 274-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის იმპერატიული მოთხოვნა. კერძოდ, სასამართლომ განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილში დადასტურებულად მიიჩნია, რომ --- -- ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაული (ორი ეპიზოდი), ხოლო სარეზულუციო ნაწილში ბრალდებული დამნაშავედ სცნო საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის და უკანონოდ განუსაზღვრა მაქსიმუმთან მიახლოებული სასჯელი.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ --- -- სასამართლოს მოსამართლის --- -- 2017 წლის 11 სექტემბრის განაჩენით --- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2

ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (-- -- ეპიზოდი), საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (-- -- ეპიზოდი, საქართველოს სსკ 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (-- -- ეპიზოდი) და საქართველოს სსკ 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (-- -- ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საბოლოო სასჯელის სახით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი) წლისა და 03 (სამი) თვის ვადით.

2017 წლის 10 ოქტომბერს, -- -- სასამართლოს მოსამართლემ -- -- მიიღო განჩინება 2017 წლის 11 სექტემბრის განაჩენში უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ.

2017 წლის 10 ოქტომბრის განჩინების საფუძველზე, 2017 წლის 11 სექტემბრის განაჩენში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, -- -- ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (-- -- ეპიზოდი), ასევე საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით (-- -- ეპიზოდი) გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის და საქართველოს სსკ 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, საბოლოო სასჯელის სახით -- -- განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 06 (ექვსი) წლისა და 03 (სამი) თვის ვადით.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 24 მაისის დასკვნა:

მოსამართლე -- -- მიმართ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასებით კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს - „მოსამართლის მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება“ (2020 წლის 1 იანვრამდე მოქმედი რედაქცია). ამასთან, სამოსამართლო ეთიკის წესების მე-8 მუხლის თანახმად, მოსამართლე ვალდებულია მასზე დაკისრებული მოვალეობები განხორციელოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სათანადო გულისხმიერებით.

უმნიშვნელოვანესია ის გარემოება, რომ მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება წარმოადგენს არა მხოლოდ მოსამართლის, არამედ საჯარო მოხელეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს, ისევე როგორც შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს.

თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ მოსამართლესთან მიმართებაში საკმაოდ რთულია დადგინდეს თუ სად გადის ზღვარი ერთის მხრივ, მოსამართლის სამართლებრივ შეცდომას და მეორეს მხრივ დისციპლინურ გადაცდომას შორის. ვინაიდან, ერთი მხრივ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძველად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა, ხოლო მეორეს მხრივ ცალკე დისციპლინურ გადაცდომის სახეს წარმოადგენს მოვალეობის შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება. ამდენად, უმნიშვნელოვანესია განისაზღვროს მოსამართლის რომელი ქმედება უნდა შეფასდეს დისციპლინურ გადაცდომად და რომელი სამართლებრივ შეცდომად.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა, სადისციპლინო პალატის 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილება, სადაც პალატამ გააკეთა განმარტება სამართლებრივი შეცდომისა და დისციპლინური გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. სადისციპლინო პალატის განმარტებით, კანონის შესაბამისი დანაწესი უნდა განიმარტოს ორი უმნიშვნელოვანესი პრინციპის, კანონიერების პრინციპის და მოსამართლის დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესის დაცვით. კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია,

რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება. დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას კი მოსამართლე ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში და არ გასცდეს კანონს. სასამართლო ვალდებულია მისთვის კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელოს კანონის ფარგლებში“.

განსახილველ შემთხვევაში ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რამოდენიმე მუხლთან დაკავშირებით, რომლებიც რელევანტურია საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესაფასებლად.

კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო ნაწილი უნდა შეიცავდეს იმ დანაშაულებრივი ქმედების აღწერას, რომელიც სასამართლომ დადგენილად ცნო. ამასთანავე, განაჩენში მითითებული უნდა იყოს მისი ჩადენის ადგილი, დრო და ხერხი, ბრალის ფორმა, დანაშაულის მოტივი, მიზანი და შედეგი. განაჩენში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე მტკიცებულება, რომელსაც ემყარება სასამართლოს დასკვნა, და მოტივი, რომლის მიხედვითაც სასამართლომ მიიღო ერთი მტკიცებულება და უარყო მეორე. ამასთანავე, განაჩენში აღნიშნული უნდა იყოს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი ან დამამძიმებელი გარემოებები, ხოლო თუ ბრალდების ნაწილი უსაფუძვლოდაა მიჩნეული ან დანაშაულის კვალიფიკაცია არასწორია – ბრალდებულის სასარგებლოდ ბრალდების შეცვლის საფუძველი და მოტივები.

ამავე კოდექსის 274-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში აღნიშნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი (ნაწილი, ქვეპუნქტი), რომლის მიხედვითაც ბრალდებული მიჩნეულია დამნაშავედ. ხოლო 287-ე მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების მიმღებ სასამართლოს უფლება აქვს, ზეპირი მოსმენის გარეშე განჩინებით აღმოფხვრას გადაწყვეტილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობა, რაც არ გამოიწვევს მის გაუქმებას ან შეცვლას, კერძოდ: ა) დააზუსტოს დაკავებისა და დაპატიმრების თარიღები, აგრეთვე ვადა, რომელიც ჩაითვალა სასჯელის დანიშვნისას; ბ) შეასწოროს პროცესის მონაწილის პერსონალური მონაცემები; გ) დააზუსტოს და გაანაწილოს საპროცესო ხარჯები; დ) გადაწყვიტოს მტკიცებულებათა საკითხი; ე) დააზუსტოს ქონებაზე ყადაღის საკითხი; ვ) შეიტანოს სხვა დაზუსტება, რომელიც გავლენას არ მოახდენს სასამართლოს დასკვნაზე მსჯავრდებულის ქმედების კვალიფიკაციის, სასჯელის ღონისძიების შესახებ.

საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისას დადგინდა, რომ მოსამართლე -- -- 2017 წლის 11 სექტემბრის განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციაში ნაწილში სრულად ასახა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საკითხები, თუმცა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში დაუშვა უზუსტობა, კერძოდ, სრულყოფილად არ მიუთითა -- -- მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაცია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსამართლემ იმოქმედა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის საფუძველზე და მიიღო განჩინება განაჩენში დაშვებული უზუსტობის აღმოფხვრის შესახებ. მიღებული განჩინების თანახმად, მოსამართლემ აღმოფხვრა განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში დაშვებული უზუსტობა და შეცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია.

კერძოდ, მოსამართლის მიერ 2017 წლის 11 სექტემბერს მიღებული განაჩენის თანახმად, მსჯავრდებული ცნობილი იყო დამნაშავედ საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, ხოლო უზუსტობის აღმოფხვრის შედეგად მსჯავრდებული ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

ამდენად, მოსამართლე მოქმედებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ მოსამართლემ ზემოაღნიშნულ შემთხვევაში დაარღვია 287-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნა, კერძოდ კი შეცვალა ქმედების კვალიფიკაცია, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვან შესრულების შეფასების თვალსაზრისით სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებებთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ევროპის სხვადასხვა ქვეყნების სადისციპლინო პრაქტიკაზე, რომლის შესაბამისადაც, მოსამართლის მიერ მოვალეობის შეუსრულებლობად ან არაჯეროვან შესრულებად შეიძლება ჩაითვალოს მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს, რაც ინსპექტორის შეფასებით განსახილველ შემთხვევაში არ იკვეთება.

მიუხედავად იმისა, რომ სახეზე გვაქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 287-ე მუხლის ფორმალურად დარღვევის ფაქტი, ეს კონტერტული შემთხვევა არ შეიძლება გახდეს მოსამართლის მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი, ვინაიდან უზუსტობის აღმოჩენის შედეგად რეალურად არ შეცვლილა სასჯელის სახე და ზომა. ამასთან, არ შეცვლილა განაჩენის სამოტივაციო ნაწილში სასამართლოს მიერ წარმოდგენილი მსჯელობა.

4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი უფლებამოსილია მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ თუ მოსამართლეს შეუწყდა სამოსამართლო უფლებამოსილება (2020 წლის 1 იანვრიდან მოქმედი რედაქცია).

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის -- -- №-- გადაწყვეტილებით „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, -- -- სასამართლოს მოსამართლე -- -- 2019 წლის -- -- გათავისუფლდა თანამდებობიდან, უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოება ხორციელდება მხოლოდ საერთო სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ. გამომდინარე იქიდან, რომ -- -- აღარ ახორციელებს სამოსამართლო უფლებამოსილებას, იგი არ წარმოადგენს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ დისციპლინური სამართალწარმოების სუბიექტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

-- -- 2018 წლის 26 დეკემბრის №-- საჩივარზე შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ყოფილი მოსამართლის -- -- მიმართ.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი